ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ

ᲙᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲔᲠᲗᲔᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (ᲑᲘ) ᲪᲔᲜᲢ. ᲓᲐ ᲛᲠ. ᲞᲠᲝᲛᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙ. ᲪᲐᲮᲘᲡ ᲠᲒᲐᲜᲘ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ: ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ—14—76, ᲠᲔᲓ. ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ—23—17, ᲡᲐᲑᲭᲝᲜᲐᲪᲘᲔᲑᲝ—10—58, ᲛᲜ. ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲘᲡ—8—81.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1932 Წ. № 255 (3509)

ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲒᲘᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲘᲗ

მეცხოველეობის პრობლემის უახლოეს მომავალში გადაჭრა პარტიისა და ხელისუფლების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ეს კარგადაც არის. მუშათა კლასის და მთელი მშრომელი მასის საკვები პროდუქტებით მომარაგების გაძლიერება და გაუმჯობესება გვიკარნახებს უდიდესი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით მოვკიდოთ ხელი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივცეთ მუშებს მეტი ხორცი, რძე, კარაქი.

პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების ამოცანა პირველ რიგში გვავალებს უზრუნველვყოთ საბჭოთა და კოლმეურნეობების და აგრეთვე კოლმეურნეთა ინდივიდუალური სარგებლობაში მყოფი პირუტყვი საკვებით და ბინით. მეცხოველეობის ბინითა და საკვებით უზრუნველყოფის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგება ჩვენს წინაშე ზამთრის მოახლოების გამო.

გასულ წელს ჩვენ გვჭონდა მრავალი შემთხვევები, როდესაც საკვებისა და საზამთრო ბინების უქონლობის გამო ზოგან დაიღუპა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, როგორც მუშა, ისე მეწველი პირუტყვი და ცხვარი. ასეთ შემთხვევებს მაგალითად ადგილი ჰქონდა სოფ. ჭოკრაკში, მუხრანში (დუშეთის რაიონი) გიორგიწმინდაში, კაკაბეთში (გარე-კახეთის რაიონი) და აგრეთვე შირაქის, ყიდაბნოს და გიაურ-არხის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში.

განსაზოგადოებული პირუტყვისათვის ბინების მშენებლობის საქმეში ადგილი ჭონდა დანაშაულობრივ დაუდევრობასთან, 20 ოქტომბრისათვის დასილოსებული იყო 14.361 ცენტნერი საკვები, შესრულებული იყო გეგმის 25,3 პროცენტი. ზემოაღნიშნული რიცხვისათვის (20 ოქტომბერი) **დასილოსების კამპანია დაწყებულიც კი არ ჭონდათ ბოგდანოვკის, ადიგენის, გარე-კახეთის, ვანის და ბაღდათის რაიონებს.**

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, პირუტყვის საზამთროდ დაბინავებისათვის ჯერ კიდევ არ არის მიღებული საკმაო ზომები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მკვეთრი ჩამორჩენა საბინაო მშენებლობის და ნაყიერი საკვების შეგროვების დარგში.

ადგილებიდან მიღებული მასალები გვარწმუნებს, რომ მეცხოველეობის ძირითად რაიონებს არ გაუთვალისწინებიათ გასული წლის გაკვეთილები და არ დაურაზმავთ მასები იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნას პირუტყვის დაღუპვა.

მთელი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანოების ყურადღება უნდა მიექცეს საკვების საკმაო რაოდენობით შეგროვების საკითხს. მეცხოველეობის რაიონებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის მდგომარეობა, რომ **საჭიროა დაშორებული ადგილებიდან საკვების (თივა, ჩალა) დროზე გამოზიდვა.**

პირუტყვის ბინების მშენებლობისათვის ჯერ კიდევ არის დრო. ამ სამუშაოთა შესასრულებლად პირველ რიგში საჭირო იქნება **ადგილობრივი** რესურსებისა და საშენი მასალის მაქსიმალური მობილიზაცია.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ კოლმეურნეებს მათ განკარგულებაში მყოფი ძროხისა და წვრილფეხა პირუტყვის საკვებით და ბინით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის განკარგულებაში მყოფი ფურაჟისა და საკვები ფონდების სწორად განაწილებას კოლმეურნეთა შორის.

დრო არ ითმენს. ზამთარი ახლოვდება. მობილიზაცია უყოთ ყველა ძალებს და რესურსებს იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მთელი პირუტყვის გეგმიანი დაბინავება. ესაა ამჟამად სოფლის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

„ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 30 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება:

„საფრანგეთის მიერ შედგენილ განიარაღების პროექტის ძირითადი შინაარსი, რომელიც ერიოს გააცნო დეპუტატთა პალატას, მდგომარეობს შემდეგში:

საფრანგეთი მზად არის დასთანხმდეს, რომ ქვეითი შეიარაღებული ძალების მიმართ, კოლონიალური ჯარების გამოკლებით, დაწესებულ იქნას, მეტროპოლიის ყველა არმიებთან შეფარდებით სამსახურის შემოკლებული ვადა შემდეგი პირობების დაცვით:

1. ყველა სამხედრო ნაწილები, რომლებიც შედგენილია ამ პროექტის საწინააღმდეგო პრინციპებზე, როგორც მაგალითად, გერმანიის რეიხსვერი, დაშლილ უნდა იქნას, ხოლო სახელიფო ძალთა რიცხვი მტკიცედ უნდა განისაზღვროს.

2. შეიარაღებულ ძალებზე დაწესდება საერთაშორისო კონტროლი, ამასთან პროექტი სავალდებულო წესით ითვალისწინებს ამ ძალების შემოწმების უფლებას

3. ლოკარნოს ხელისუფლების დამატებით დაიდება რეგიონალური პაქტი ურთიერთ დახმარების შესახებ, ამასთან ამ პაქტში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ყველა ქვეყნები. ამ წესით შექმნილი კოლექტიური შეიარაღებული ძალები, — როგორც პირველი რეპრესიული ეშელონი, უნდა შესდგებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ნაციონალურ კონტიგენტებისაგან, რომლებიც მზად იქნებიან განეიდენ პირველი მოთხოვნის თანავე და, რომლებსაც ექნებათ ომის წარმოების მძლავრი საშუალებანი.

4. ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეცემა უშიშროების გარანტიები იმ ფორმით და იმ მოცულობით, რომლებსაც ისინი თვითონ დაინახავენ საჭიროდ.

5. ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოები კისრულობენ მტკიცედ დაიცვან ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებანი.

6. დაწესდება საერთაშორისო არბიტრაჟი, რომელიც სავალდებულო იქნება პაქტის ყველა მონაწილეებისათვის“ (ადს).

„ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲐᲡᲐᲜᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲭᲝᲠᲔᲒᲘ“

„იზვესტია“ ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „საბჭოთა ასანთი და ინგლისელთა ჭორები“, რომელშიაც ნათქვამია:

„ამ დღეებში ინგლისის პრესამ „როგის წყაროებიდან“ მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა ექსპორტი ასანთის მხრივ ხუთწლედის განმავლობაში მოახდინოს ღრმერთის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ამ სენსაციური ამბის შემდეგ, რომელიც სწრაფად გავრცელდა ევროპის მთელ პრესაში, საჭირო იყო სხვა რამეს მოგონება. და აი, ინგლისის ჭუჩური პრესა იტყობინება, რომ „ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს იერიში მიიტანონ ღმერთზე იმ ქვეყანაში, სადაც იგი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. მათ ინგლისში შემოაქვთ ასანთი, რომელზეც დაც დახატულია ანტირელიგიური სურათები“.

საჭირო არ არის ამ ჭორების იდიოტიზმის მტკიცება. ბოლშევიკებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ რელიგიის დიდი ხნით არსებობა, ვინაიდან მათ განზრახული აქვთ მოსპონ სიღატაკე, უგიცობა და მონური ფსიქოლოგია, რაც კლავს რწმენას ადამიანსა და საკუთარი ძალისადმი და ქმნის რწმენას სასწაულებისადმი. მაგრამ საბჭოთა მთავრობას, არავითარი განსაკუთრებული ნაბიჯი არ გადაუდგამს და არც აპირებს სდგამს სარწმუნოების წინააღმდეგ, რაც შეიძლება ასანთს, იგი გაგზავნეს იმიტომ, რომ მიეღოთ სასწრები, რომლებიც საჭიროა მანქანების შესაძენად და არა პროპაგანდისათვის. ეს უნდა სკეპტიკურად ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც, რომელიც თავს იკატუნებს, თითქოს იგი სერიოზულად ეკიდება ცნობებს ანტირელიგიურ ასანთის შესახებ და გვპირდება, რომ „გამოირკვევს“ ამ ბოროტმქმედებას. ასეთი გამორკვევა სრულიად უადგილო იქნებოდა, ვინაიდან, თუ ეს ანტირელიგიური ასანთი არ წარმოადგენს იმ მხედბანელის ფანტაზიის ნაყოფს, რომელსაც სურდა რამდენიმე ზედმეტი შილინგის შოვნა, იმ შემთხვევაში ჩვენ აქ საქმე გვაქვს პროვოკაციასთან.

ჩვენ აქ გვაინტერესებს იმ იდეოტური ჭორების იდეოლოგიური მხარე. ინგლისის მთავრობამ, გაიარჯა რა საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, საბჭოთა ექსპორტის დისკრიმინაციის მიზნით, ფართო გასაქანი მისცა ასეთ აგიტაციას, რომელსაც, როგორც ჩანს, აქვს ზრდის ტენდენცია. ინგლისის მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა იმ ჭორებისათვის, რომელთა მიზანია სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, ინგლისის მთავრობას არ უნდა გაუკვირდეს, თუ მას დასდებენ ბრალს ინგლისის საქმიანი წრეები, რომლებიც სარგებლობას ნახულობდენ ჩვენთან ვაჭრობიდან, და მუშები, რომლებიც, აღნიშნული ზომების და ცილისწამების კამპანიის შედეგად, კარგავენ სამუშაოს (ადს).

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (ᲑᲘ) Ა.-Კ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი, აღნიშნავს რა მთელ რიგ დამახინჯებებს კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების ხაზით (მრავალრიცხოვანი ნატურალური და ფულადი ფონდების გამოყოფა, იდი ანარიცხები ამ ფონდებში, ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების დაგვიანება, შემოსავლის იმ ნაწილის განაიავება, რომელიც უნდა განაწილდეს შრომა-დღეების მიხედვით, ადმინისტრატიული ზეგავლენა და სხვ.), წინადადებას იძლევა:

1. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საიალქო და სარაიონო კომიტეტებმა გააძლიერონ ყურადღება მუშაობისადმი კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილებისათვის, რომლის სწორად გატარება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში.

2. ანარიცხი განუყოფელ ფონდში დაწესდეს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 10—15 პროცენტის ფარგლებში, ამ შემოსავლიდან გამორიცხულ იქნას: კოლმეურნეობის დავალიანება სახელმწიფოსადმი, რაც გადახდილ უნდა იქნას 1932 წელს, თანხა, როელიც გადახდილ უნდა იქნას სასოფ.-სამეურ. გადასახადის გასასტუმრებლად და დაზღვევის, სათესლე და საფურაჟე ფონდების გადასახდელი. დავალიანეს კოლმეურნეობათა გამგეობებს 1932 წლის განმავლობაში კაპიტალურ დაბანდებაზე (მშენებლობა, პირუტყვის და ინვენტარის შეძენა, მრავალწლოვანი ნარგავების და სხვ.) გაწეული ფულადი ხარჯები ჩათვალონ შექმნილ 10—15 პროც. განუყოფელ ფონდში.

3. ამიერ-კავკასიის პირობებთან შეფარდებით, კოლმეურნეობს შორის გასანაწილებელი ფონდი დაწესდეს მათ მიერ განსაზოგადოებული მუშა და აგრეთვე მრავალწლოვანი ნარგავების ღირებულების მიხედვით კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 5 პროცენტის ფარგლებში; ამ შემოსავლიდან გამოკლებულ იქნას: კოლმეურნეობის დავალიანება სახელმწიფოსადმი, რაც უნდა დაიხარჯოს შემოდგომის სამუშაოებზე სამეურნეო წლის დამლევამდე, ე. ი. 1933 წლის 1-ლ იანვრამდე.

6. დაგმობილ იქნას კოლმეურნეობათვის მისი შრომა-დღეების მიხედვით ხვედრი მარცვლეულის მიცემის დაგვიანების პრაქტიკა და მარცვლეულის ნაცვლად, საზოგადოებრივ პურის საცხობებიდან პურის მიცემა სულადობრივი მოხმარების ნორმების დაწესებით (კაფანი დელიჟანი), რაც წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევას და რასაც მივყუვართ კულაკურ გათანაბრებამდე.

7. დაუშვებლად ჩაითვალოს როცა ცალკე კოლმეურნეობათა გამგეობანი, კოლმეურნეთა თანხმობის გარეშე და მათთვის შეუტყობინებლად, ბაზარზე ჰყიდიან შემოსავლის იმ ნატურალურ ნაწილს, რომელიც უნდა განაწილდეს კოლმეურნეებს შორის. წინადადება მიეცეს ა.-კ. კოლმეურნეცენტრს და რესპუბლიკათა კოლმეურნეცენტრებს, კონკრეტული ხელმძღვანელობის წესით, უზრუნველყონ საკოლმეურნეო ვაჭრობიდან პროდუქციის მიყიდვიდან შემოსული ფული სისტემატიურად გაანაწილონ კოლმეურნეებს შორის მათი შრომა - დღეების მიხედვით და არ დაუშვან საკოლმეურნეო ვაჭრობიდან მიღებული თანხების გაწიავება და ხარჯვა არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ (არა გეგმიანი მშენებლობა, ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების გადიდება და სხვ.).

8. დაევალოს ყველა კოლმეურნეობათა გამგეობებს, საკოლმეურნეო ვაჭრობიდან და სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვიდან შემოსული ფული სისტემატიურად გაანაწილონ კოლმეურნეებს შორის მათი შრომა - დღეების მიხედვით და არ დაუშვან საკოლმეურნეო ვაჭრობიდან მიღებული თანხების გაწიავება და ხარჯვა არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ (არა გეგმიანი მშენებლობა, ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების გადიდება და სხვ.).

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲣᲚᲝᲤᲐᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲒᲝ ᲙᲘᲠᲝᲒᲔᲒᲘ ᲓᲦᲘᲗᲘ-ᲓᲦᲔ ᲣᲐᲠᲔᲡᲓᲔᲒᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 31 ოქტომბერი. კრიზისის წლებმა მეტად გააძლიერეს გერმანიის მშრომელთა გაღატაკების პროცესი. 1929 წლიდან დაწყებული, კაპიტალისტების შემოტევის შედეგად, გერმანიის მუშების ხელფასი საშუალოდ შემცირდა 40—45 პროცენტით. ხელფასის ფონდი, რომელიც 1929 წლს. შეადგენდა 45 მილიარდ მარკას, დაეცა 25 მილიარდ მარკამდე. მუშათა ხელფასის დაკლების მიუხედავად, ბინის ქირა წინანდელ დონეზე ან უმნიშვნელოდ შემცირდა, ბინის ქირას ახლა საშუალოდ სჭირდება ხელფასის 24 პროცენტი მაშინ, როცა ქირაზის წინა წლებში ამაზე მიდიოდა 12 პროცენტი. უკანასკნელი ოფიციალური ცნობებით, გერმანიაში 5.150 ათასი უმუშევარია. ნამდვილად კი — 7 მილიონზე უმუშევარი. ამ რიცხვიდან 650 ათასი ცალი ღებულობს სრულ დახმარებას, 1 მილიონზე მეტი ღებულობს შემცირებულ დახმარებას.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲔᲠᲘ ᲚᲐᲕᲠᲙᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲢᲘᲛᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი. 30 ოქტომბერს ლონდონის ცენტრში ტრაფალგარის მოედანზე გაიმართა გრანდიოზული დემოსტრაცია, რომელიც მუშათა ორგანიზაციებმა მოაწყვეს მშიერა ლაშქრობის მონაწილეთა პატივსაცემად. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ლონდონის ყველა რაიონებიდან მოვიდენ დემონსტრანტების მრავალრიცხოვანი კოლონები, რომელთაც ავესხს მთელი მოედანი და ახლო-მახლო ქუჩები. ყურადღებას იპყრობდა კომუნისტური ორგანიზაციების მრავალი დროშა. ორატორები ოთხი ტრიბუნიდან ამბობდენ სიტყვებს. პოლიცია, რომელიც დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი დემონსტრაციაზე, მოუწოდებდა მასებს „გაპკლოდენ ტრაფალგარის მოედანს“. მიუხედავად ამისა, დემონსტრაცია აღმოჩნდა ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი უკანასკნელ წლებში გამართულ დემონსტრაციებთან შედარებით და დიდი წარმატებით ჩატარდა (ადს).

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲔᲜᲐ, 31 ოქტომბერი. როგორც ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, ბუკარესტის უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირმა ამას წინად მოაწყო ლექცია ლენინზე. თუმცა ლექცია გაიმართა ბუკარესტის უდიდეს დარბაზში, მაგრამ რამდენიმე ათასი მსურველი ამინც ვერ მოხვდა ლექციაზე. ინტელიგენციის ფართო წრეების დაინტერესების მოთხოვნით, ლექცია ამ დღეებში განმეორებულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ აკრძალა მისი მოწყობა. ლექციის შემდეგ, რომელიც წაიკითხა უნივერსიტეტის პროფესორმა რადულესკუმ, სტუდია წარმოსთქვა მუშაურ-გლეხური ბლოკის ყოფილმა დეპუტატმა პოტრეშკანუმ. პოტრეშკანუ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ დააპატიმრა პოლიციამ, რომელიც იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებია იგი, აუდიტორიის მოთხოვნით (ადს).

ᲡᲐᲒᲭ. ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲒᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 31 ოქტომბერი. ფეხბურთელთა საბჭოთა გუნდსა და სახალხო სახლის (თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი), გუნდ შორის გაიმართა მატჩი, რომელსაც დაესწრო 10 ათასი კაცი. შეჯიბრებას დაესწრენ მთავრობის წევრები და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით 3:2 (ადს).

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲖᲔ ᲒᲣᲨᲐᲠᲔᲡᲨᲘ

ᲕᲔᲜᲐ, 31 ოქტომბერი. როგორც რუმინეთიდან იტყობინებიან, ბუკარესტის უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირმა ამას წინად მოაწყო ლექცია ლენინზე. თუმცა ლექცია გაიმართა ბუკარესტის უდიდეს დარბაზში, მაგრამ რამდენიმე ათასი მსურველი ამინც ვერ მოხვდა ლექციაზე. ინტელიგენციის ფართო წრეების დაინტერესების მოთხოვნით, ლექცია ამ დღეებში განმეორებულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ აკრძალა მისი მოწყობა. ლექციის შემდეგ, რომელიც წაიკითხა უნივერსიტეტის პროფესორმა რადულესკუმ, სტუდია წარმოსთქვა მუშაურ-გლეხური ბლოკის ყოფილმა დეპუტატმა პოტრეშკანუმ. პოტრეშკანუ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ დააპატიმრა პოლიციამ, რომელიც იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებია იგი, აუდიტორიის მოთხოვნით (ადს).

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲣᲚᲝᲤᲐᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲒᲝ ᲙᲘᲠᲝᲒᲔᲒᲘ ᲓᲦᲘᲗᲘ-ᲓᲦᲔ ᲣᲐᲠᲔᲡᲓᲔᲒᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 31 ოქტომბერი. კრიზისის წლებმა მეტად გააძლიერეს გერმანიის მშრომელთა გაღატაკების პროცესი. 1929 წლიდან დაწყებული, კაპიტალისტების შემოტევის შედეგად, გერმანიის მუშების ხელფასი საშუალოდ შემცირდა 40—45 პროცენტით. ხელფასის ფონდი, რომელიც 1929 წლს. შეადგენდა 45 მილიარდ მარკას, დაეცა 25 მილიარდ მარკამდე. მუშათა ხელფასის დაკლების მიუხედავად, ბინის ქირა წინანდელ დონეზე ან უმნიშვნელოდ შემცირდა, ბინის ქირას ახლა საშუალოდ სჭირდება ხელფასის 24 პროცენტი მაშინ, როცა ქირაზის წინა წლებში ამაზე მიდიოდა 12 პროცენტი. უკანასკნელი ოფიციალური ცნობებით, გერმანიაში 5.150 ათასი უმუშევარია. ნამდვილად კი — 7 მილიონზე მეტი უმუშევარი. ამ რიცხვიდან 650 ათასი ცალი ღებულობს სრულ დახმარებას, 1 მილიონზე მეტი ღებულობს შემცირებულ დახმარებას. თუ წინად კვალიფიციურ მუშას უმუშევრობის დროს დახმარების სახით ეძლეოდა 90 მარკა თვეში, ახლა მას ძლივს ეძლევენ 40 მარკას. მაგრამ ამ დახმარებას უმუშევარი ღებულობს მხოლოდ ექვს თვეს. ყოველდღე მრავალი ათეული მუშა იკლავს თავს გაჭირვების ნიადაგზე, მრავალ ათას უმუშევარს არ შეუძლია გადაიხადოს ბინის ქირა, რისთვისაც იგი დაუზოგავად ერეკებიან ქუჩაში. ბეერის ქალაქის განაპირა რაიონებში შეჯვდებით შემაძრწუნებელ ხოხბახებს და მუყაოს სახლებს, ჭუჭყიან ეივონებს და ორომებს, რომლებშიც უმუშევრები ცხოვრობენ. დაბმარება ავადმყოფობის გამო, რასაც წინად მთელი წლის განმავლობაში იძლეოდენ, ახლა იძლევიან მხოლოდ 26 კვირის განმავლობაში. დახმარება ფეხმძიმობის დროს გაუქმებულია (ადს).

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲔᲠᲘ ᲚᲐᲕᲠᲙᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲢᲘᲛᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი. 30 ოქტომბერს ლონდონის ცენტრში ტრაფალგარის მოედანზე გაიმართა გრანდიოზული დემოსტრაცია, რომელიც მუშათა ორგანიზაციებმა მოაწყვეს მშიერა ლაშქრობის მონაწილეთა პატივსაცემად. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ლონდონის ყველა რაიონებიდან მოვიდენ დემონსტრანტების მრავალრიცხოვანი კოლონები, რომელთაც ავესხს მთელი მოედანი და ახლო-მახლო ქუჩები. ყურადღებას იპყრობდა კომუნისტური ორგანიზაციების მრავალი დროშა. ორატორები ოთხი ტრიბუნიდან ამბობდენ სიტყვებს. პოლიცია, რომელიც დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი დემონსტრაციაზე, მოუწოდებდა მასებს „გაპკლოდენ ტრაფალგარის მოედანს“. მიუხედავად ამისა, დემონსტრაცია აღმოჩნდა ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი უკანასკნელ წლებში გამართულ დემონსტრაციებთან შედარებით და დიდი წარმატებით ჩატარდა (ადს).

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, 1 ნოემბერი (ს.პ. კორ.). ტყიბულის მაღაროებში 29 ოქტომბერს ამოღებულ იქნა 554 ტონა ქვანახშირი, ანუ გეგმის 48 პროცენტი. სამუშაოზე გამოვიდა 664 მუშა. მოთხოვნილი იყო 50 ვაგონი, ფაქტიურად ამ დღეს მაღაროებს არც ერთი ვაგონი არ მიუღია.

ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ

ᲙᲐᲡᲞᲘ, 1 ნოემბერი (საკ. კორ.) კასპის ცემენტის ქარხანაში 29 ოქტომბერს გამოიწვა 2510 კასრი ცემენტი, ანუ გეგმის 95,6 პროც. დაიფქვა 1325 კასრი, გეგმის 49,9 პროც. გაიგზავნა 2865 კასრი, რაც უდრის გეგმის 93,6 პროც.

30 ოქტომბერს გამოიწვა 3287 კასრი ცემენტი; გამოწვის გეგმა შეასრულებულ იქნა 125,2 პროც. დაიფქვა სრულიად არ სწარმოებდა. გაიგზავნა 1421 კასრი, რაც შეადგენს გეგმის 56 პროც.

დაფქვის გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ალიბასტრის უქონლობით.

კასპი, 1 ნოემბერი (საკ. კორ.) კასპის ცემენტის ქარხანაში 31 ოქტომბერს გამოიწვა 2055 კასრი ცემენტი, რაც უდრის გეგმის 78,3 პროცენტს. დაიფქვა 537 კასრი, გეგმის 20,2 პროც. გაიგზავნა 935 კასრი; გაგზავნის გეგმა შესრულებულია 37 პროცენტით. გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია ზაჰესის დან ელექტროდენის მიწოდების შეწყვეტით.

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲖᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲛᲔᲜᲓᲔᲚᲔᲔᲕᲘᲡ ᲣᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲫᲘᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 31 ოქტომბერი. მენდელეევის მენქვსე ურილობამ, რომელსაც ესწრება 3.000-ზე მეტი დელეგატი, მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს ქიმიკოსებს მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია:

„იმპერიალიზმი კვლავ ემზადება შესისთვის, რომ თავს დაატეხოს ომი კაცობრიობას, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირს, სადაც წარმატებით შენდება ახალი სოციალისტური საზოგადოება. სამეცნიერო მუშაკებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან ანალიზს, განზოგადოებას და წინასწარ განჭვრეტას, არა აქვთ უფლება არ დაინახონ ახლოგანლილი ომის მრავალი ნიშანი. ბნელი ანტისაბჭოთა ძალები დაუღალავად აკომპლექტებენ ინტერვენტების ბლოკს და ამზადებენ ლაშქრობას საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ. ევროპა უკვე ფაქტიურად ცხოვრობს ზარბაზნის ბუქნებზე, მოვინიზმის და მოახლოებული ომის ატმოსფეროში. კაპიტალისტური მსოფლიოსაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში შენდება სოციალიზმის ახალი ქვეყანა, სადაც სწარმოების გმირული შემოქმედებით მუშაობა, აშენდა დნეპროგორსკი, აშენებულია და შენდება ქიმიური მრეწველობის ახალი გიგანტები, სავსებით მოსპობილია უმუშევრობა, სამეცნიერო ტექნიკური ინტელიგენციის კადრების, მომზადება, მუშებიდანვე მათი სწრაფი ზრდისა, მაინც უკან რჩება სოციალისტური მრეწველობის განვითარებას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდეს მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირისაგან უკვე დაიძრენ დასავლეთის სამეცნიერო-ტეხნიკური ინტელიგენციის საუკეთესო, იდეური და შემოქმედი ელემენტები. ომი მსოფლიოს ეს აშკარა კონტრაჯტი უადრესად საშიშია საბჭოთა პირველი ხანგრძლივი ომის გარისკისთვის, რომელიც განაგებენ კაპიტალისტური ქვეყნების ბედილბალს. ისინი ოცნებობენ სამხედრო ინტერვენციით ჩაშალონ სოციალიზმის ქვეყნის განუწყვეტელი ზრდა და ამ გზით შეიცავდნენ იპოვონ საბჭოთა კავშირის ხარჯზე თუნდაც დროებითი გამოსავალი კრიზისიდან, რომელმაც საფუძვლიანად შეარყია კაპიტალიზმის სისტემა. საბჭოთა კავშირის მთელი სამეცნიერო საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა ამბარდიამის ომის საწინააღმდეგო კონგრესს, რომელიც მოწვეული იყო დასავლეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების მიერ. ეხლა ახალი მსოფლიო ომის მოახლოებული საფრთხის წინაშე, ჩვენ საბჭოთა ქიმიკოსები, რომლებიც შეადგენიან მენდელეევის საკავშირო არილობაზე, მივმართავთ მსოფლიო ქიმიკოსების მოწოდებით—გააჩნდეთ აქტიური ბრძოლა ომის და ინტერვენციის საფრთხის წინააღმდეგ. ომის ცეცხლის გამჩაღებელთა დანაშაულებრივ გეგმებში ქიმიას დათმობილი აქვს უმთავრესი გამანადგურებელი ძალის როლი. იყავით ფხიზლად, ჩამოახდეთ ნიღაბი ომის ცეცხლის გამჩაღებლებს. ომი—ომს. მთელი მსოფლიოს ქიმიკოსებო, მეცნიერების დაწრომის ფრონტისათვის, მოახლოებული ომის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, სოციალიზმის ძლევამოსილად მშენებელი პირველი ქვეყნის დაცვისათვის!“

მოწოდება ურილობის მიერ მიღებულია ერთხმად (ადს).

Შ

პარტიული მშენებლობა

განვამტკიცოთ პარტმუშაობის დასაყრდენი პუნქტები სოფლად

მეტი ყურადღება პარტმუშაობის დასაყრდენ პუნქტებს

საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილებაში, აღნიშნა რა სოფლად პარტიული ორგანიზაციების უკიდურესი სისუსტე, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და მაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების საბრძოლო ამოცანად დასახა სრულიად პარტიული ორგანიზაციის გაძლიერება, მასიური პოლიტიკური მუშაობის გაშლა და ძირეული რგოლებზე კონცენტრაცია.

რომ დასაყრდენი პუნქტები ზოგან ნამდვილად ამართლებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს, ამას ადასტურებს გომის (ტაგილინისი) „პარიზის კომუნი“-ს და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა უჯრედების (ლუჭსემხეთრე) და ნასაკირალის სამეურნეობის (ოზურგეთი) უჯრედის მიერ ჩატარებული მუშაობა. პარტიული ძალების სწორად განაწილებით, მასიური პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრის ძირეულ რგოლებში გადატანით, კომუნისტების და კომკავშირელების ავანგარდულ რიგის გაძლიერებით ამ დასაყრდენმა პუნქტებმა შესძლეს კონკრეტული დახმარების და ხელმძღვანელობის გაწევა და პარტმუშაობის გარდაქმნის ნიშნების ჩვენება სხვა უჯრედებისათვის. უსათუოდ საყურადღებო და მოსახმაო მათი გამოცდილება იმიტომ, რომ არა საერთოდ და ზოგადათ, არამედ კონკრეტულ დახმარებას უწევენ მახლობელ უჯრედებს პარტმუშაობის გარდაქმნისათვის ყოფენ ბრიგადებს კონკრეტული დავალებების მიცემით, წინასწარ სწავლობენ უჯრედების მუშაობას რაიონულ კომიტეტთან შეთანხმებით ატარებენ პრაქტიკულ მუშაობას. სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული დასაყრდენი მთელ რიგ რაიონებში დასაყრდენი პუნქტები მუშაობის გაუმჯობესებისება. ბევრგან საბაზო უჯრედები არ არის განმტკიცებული კადრებით, არ ეძლევა ჯეროვანი ყურადღება კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, პარტიული ძალების სწორად განაწილებას და განსაკუთრებით პარტკანდიდატებთან მუშაობას (გეჯეთის საბჭოთა მეურნეობა, სენაკი). ამის გამო ზოგიერთი დასაყრდნობი პუნქტები არ ამართლებენ დაკისრებული ამოცანებს.

ვისწავლოთ ნასაკირალის პარტორგანიზაციის მაგალითზე

საქართველოს კომპარტიის ცეკას 1932 წლის 13 მარტის დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში, ოზურგეთის რაიონის პარტორგანიზაციამ სათანადო მიღწევები მოიპოვა, რაიპარტკომის მთელი ყურადღება იქითკენ იქნა მიპყრობილი, რომ დაუყოვნებლივ აღმოეფხვრა ის შეცდომები, და დამახინჯებანი, რომლებსაც ადგილი ქონდა სოფლად დასაყრდენი პუნქტების მოწყობის საქმეში.

სკ. კ. პ. (ბ) ცეკას აღნიშნული დადგენილების განხორციელებისათვის პირველი ღონისძიებები გამოიხატა იმაში, რომ გაუქმებულ იქნა სოფლის პარტკომიტეტები, საკოლმეურნეობათა მთლიანად შეიქმნენ პარტკომიტეტები, რომლებიც გადაიქცნენ ერთგვარ „ქვერაკომიტეთი“ ძირეულ ორგანიზაციებსა და რაიპარტკომს შორის და რაც არსებითად დრომოჭმულ სათემო სისტემაზე დაბრუნებას ნიშნავდა.

მთელ რიგ მსხვილ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო დასაყრდენი პარტუჯრედები, რომლებსაც დაეკალათ ცოტაოდენი ხელმძღვანელობის გაწევა ახლო მდებარე სოფლის თუ კოლმეურნეო უჯრედებისათვის.

ჩვენს მიზანს შეადგენს გავაშუქოთ ერთერთი დასაყრდენი პარტუჯრედის მუშაობა, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად მოეწყო ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბოლშევიკურად დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებას და პარტიული გავლენის გაძლიერებას მეურნეობის მუშათა მასებზე.

ძირეული პარტიული რგოლი

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უჯრედი სულ ახლადშექმნილ პარტიის 17 წევრს და 20 კანდიდატს; 1932 წლის 1 თებერვლიდან ორგანიზაციაში მიღებულია 11 საკეთილო დამკვრელი მუშა.

მეურნეობაში გამოყოფილია 12 პარტორგანიზატორი და ჩამოყალიბებულია 3 პარტჯგუფი, (საალმშენებლო სამუშაოებზე, სამნეო დარგზე და კოოპერაციასთან). უჯრედი სისტემატიურად იხილავს ვის სხდომებზე ძირეული პარტრგოლის მოხსენებებს და იქვე უსახავს მათ პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობისათვის.

ძირეულ რგოლზე ოპერატიულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერება და ამ რგოლად საწარმოო საფენანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

მეურნეობამ ჯერ კიდევ აპრილის თვეში ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა 112 პროცენტით შეასრულა (ამით ამოიწურა ჩაის ახალი პლანტაციებისათვის გასაშენებელი მიწის ფართობი). ამ ჟამად ადგილობრივი პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ჩაის პლანტაციების თავის დროზე მოვლა-დამუშავება.

კომუნისტები გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან; ასე, მაგალითად: ამხ. თომა დოლიძემ ღიმერად ნორმის შიხედვით ჩაის პლანტაცია უნდა გაეთოხნა 700 კვადრატულ მეტრზე, ფაქტიურად კი გათოხნა — 1.200 კვადრ. მეტრი. ამხ. შუშანა ხარაშვილმა დღიური ნორმა — 700 კვ. მ. ნაცვლად—1500 კვადრატული მეტრით შეასრულა; ამხ. ხუხონ მექვაბიშვილმა 700-ის ნაცვლად გაჯეთა— 1.400 კვ. მ. და სხვ. ასევე ითქმის ბრიგადის ორსტომიანის შესახებ, რომელმაც მიცემული თვიური გეგმა 7 დღით ადრე შეასრულა.

საერთოდ მეურნეობაში ჩაის პლანტაციების პირველი და მეორე გათოხნა შესრულებულია — 100 პროცენტით, ხოლო მესამე გათოხნა კი შესრულებულია 70 პროც. რაც გამოიწვია მუშა-ხელის სიმცირემ და არსებულის არა რაციონალურად გამოყენებამ.

ძირეული პარტიული რგოლის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ცალკე დეფექტები.

რაში გამოიხატება ეს?

ზოგიერთი ამხანაგი, რომელიც გამოყოფილია პარტორგანიზატორად, უშუალოდ არ მუშაობს წარმოებაში; ასე, მაგალითად: ამხ. ტერენტი ტაქიძე და ლავრენტი ხმელიძე გამოყოფილია პარტორგანიზატორად, მაგრამ ისინი უშუალოდ მარდევად მომუშავე ბრიგადებში. აღნიშნული ამხანაგებიდან ერთი მხახურობს დამწყვდევის სალაროს მოსანგარიშებლად და მეორე კი დურგალია, ცხადია პარტიული ძალების ასეთი „ავიწროება“ ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, რასაც ამ თავითვე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება

პარტორგანიზაციის დადგენილებათა შესრულების შემოწმება სანიმუშოდ აქვს დაყენებული. შეიძლება ითქვას, რომ უჯრედმა შეძლო იქნა სოფლის პარტკომიტეტები, საკოლმეურნეობათა მთლიანად შეიქმნენ პარტკომიტეტები, რომლებიც გადაიქცნენ ერთგვარ „ქვერაკომიტეთად“ ძირეულ ორგანიზაციებსა და რაიპარტკომს შორის და რაც არსებითად დრომოჭმულ სათემო სისტემაზე დაბრუნებას ნიშნავდა.

მთელ რიგ მსხვილ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო დასაყრდენი პარტუჯრედები, რომლებსაც დაეკალათ ცოტაოდენი ხელმძღვანელობის გაწევა ახლო მდებარე სოფლის თუ კოლმეურნეო უჯრედებისათვის.

ჩვენს მიზანს შეადგენს გავაშუქოთ ერთერთი დასაყრდენი პარტუჯრედის მუშაობა, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად მოეწყო ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბოლშევიკურად დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებას და პარტიული გავლენის გაძლიერებას მეურნეობის მუშათა მასებზე.

ძირეული პარტიული რგოლი

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უჯრედი სულ ახლადშექმნილ პარტიის 17 წევრს და 20 კანდიდატს; 1932 წლის 1 თებერვლიდან ორგანიზაციაში მიღებულია 11 საკეთილო დამკვრელი მუშა.

მეურნეობაში გამოყოფილია 12 პარტორგანიზატორი და ჩამოყალიბებულია 3 პარტჯგუფი, (საალმშენებლო სამუშაოებზე, სამნეო დარგზე და კოოპერაციასთან). უჯრედი სისტემატიურად იხილავს მისი სხდომებზე ძირეული პარტრგოლის მოხსენებებს და იქვე უსახავს მათ პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობისათვის.

ძირეულ რგოლზე ოპერატიულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერება და ამ რგოლად საწარმოო საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

მეურნეობამ ჯერ კიდევ აპრილის თვეში ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა 112 პროცენტით შეასრულა (ამით ამოიწურა ჩაის ახალი პლანტაციებისათვის გასაშენებელი მიწის ფართობი). ამ ჟამად ადგილობრივი პარტორგანიზაცია

ვიბრძოლოთ სანიმუშო საქალაქო მეურნეობისათვის

„ლენინური გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე პარტიამ წარმატებებს მიაღწია საქალაქო მეურნეობის აღდგენის და განვითარების საქმეში, ამავე საფუძველზე შესძლებს ის ეხლანდელი ქალაქები გადააქციოს კულტურულად, ტექნიკურად და მეურნეობის მხრივ განვითარებულ პროლეტარულ ცენტრებათ და ააშენოს ათეული და ასეული ახალი სოციალისტური ქალაქები“

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილებიდან)

საკავშირო ცაკის ღონისძიებანი თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება, მიღებული თბილისის ქალაქის საბჭოს მოხსენების გამო თბილისის საქალაქო მეურნეობის მდგომარეობის და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

1. დაევალოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს შეიტანოს ქალაქი თბილისი იმ ქალაქების რიცხვში, რომელთა მოძმარაგება სააღმშენებლო მასალით სწარმოებს განსაკუთრებული სიის მიხედვით.

2. ვინაიდან თბილისში თავს იყრის მრავალი ტურისტები, ხოლო იქ არ მოიპოვება დამაკმაყოფილებელი სასტუმროები, საჭიროდ იქნას ცნობილი თბილისის სასტუმროების განთავისუფლება იმ დაწესებულებებისაგან, რომლებსაც ამჟამად უჭირავთ ისინი და ამ შენობების გამოყენება პირდაპირი დანიშნულებისამებრ. წინადადება მიეცეს აღნიშნულ დაწესებულებებს გაითვალისწინონ 1933 წლის ხარჯთაღრიცხვებში საჭირო სახსრები საკუთარი შენობების ასაგებად.

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

კაპიტალურ მშენებლობების გეგმების და ბიუჯეტის განხილვის მხრივ ქალ. თბილისის გა-მოკითხვის შესახებ.

ვინაიდან ქალაქ თბილისს, როგორც ამიერ - კავკასიის ფედერაციის ცენტრს, დიდი მნიშვნელობა აქვს და იქ მოთავსებულია, როგორც საკავშირო მნიშვნელობის, ისე ამიერ-კავკასიის მთელი რიგი დაწესებულებანი, საჭიროდ იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის გამოყოფა ქალაქის კაპიტალური მშენებლობის გეგმების და ბიუჯეტის განხილვის მხრივ.

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი —კრემლი 17 ოქტომბერი, 1932 წელი.

ქუთაისის კომუნალური მეურნეობა ბოლშევიკური ტემპებით უნდა განვითარდეს

ქუთაისი ძველთა-ძველი ქალაქია, იგი აშენებულია რამოდენიმე საუკუნის უკან. მისი ქუჩები და ნაგებობანი დღეს აღარ შეეფერება სოციალისტური ტიპის ქალაქს. სამწუხაროდ, ამ მდგომარეობას აქრე არ მიაქციეს ყურადღება, მხოლოდ უკანასკნელ წლებში გადადგეს ნაბიჯები ამ მიმართულებით. პრაქტიკულად ამ დარგში მუშაობა მიმდინარე წელს დაიწყო.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქუთაისში აშენებულ იქნა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები (მაუდის ფაბრიკა, ძაფსაღები ფაბრიკა, ბარიტის ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საგრენაჟო სადგური, ფაბრიკა „მკერავი“, მექანიკური სახელოსნო და სხვ).

თუ 1925-1926 წელში მუშათა საერთო რიცხვი არ აღემატებოდა 6-7 ათას კაცს, ამჟამად საწარმოებში ჩაბმულია 13-14 ათასი მუშა. ამჟამად ქუთაისში მიმდინარეობს მთელი რიგი ახალი მშენებლობანი (რაიონ'ესი საკომსერვო ქარხანა, ლიტოპონის ქარხანა, შუშეულობის ქარხანა, ალიე მინმშენი, საავტოშუმო კომბინატი და სხვ.). მშენებლობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი აღწევს 5-6 ათას კაცს.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობაც; თუ 1920-21 წელში მოსახლეთა რაოდენობა ქალაქში იყო 49.000, ამჟამად ასეთი აღემატება 62.000. საწარმოებში ჩაბმულ მუშათა და საერთოდ, მოსახლეთა ასეთი ზრდა წლიდან წლამდე ამცირებს საბინაო ფართობს, ასე მაგალითად; თუ 1927 წელს ერთ მცხოვრებზე ბინის ფართობი მოდიოდა 6,6 კვადრატიული მეტრი, 1931 წელს აღნი დავიდა 4,8 კვადრ. მეტრამდე. კიდევ მეტ შემცირებას აქვს ადგილი მიმდინარე წელში, რადგან საბინაო მშენებლობა კომუნალური განყოფილების ხაზით ძალზე ჩამორჩენილია, ხოლო საწარმოების დ ფაბრიკა-ქარხნების ხაზით მუშათა ბინებით უზრუნველსაყოფად თავიდანვე არ იყო მიღებული სათანადო ზომები.

მიმდინარე წელს კომუნალურ მშენებლობაზე, ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, უნდა დახარჯულიყო ერთი მილიონ მანეთი. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარებოდა საგზაო მშენებლობას, ქვაფენილების შეკეთებას, საბინაო მშენებლობას, აბანოების მოწყობას და სხვა.

ამ სამუშაოთა შესრულებას ხელი შეუშალა ბიუჯეტის თავის დროზე დაუმტკიცებლობამ (ბიუჯეტი დამტკიცდა მხოლოდ იგლისში). მიუხედავად ამისა, ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ აღგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით და თავის რესურსების შესძლო მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება, მაგალითად: გაყვანილია მთელი რიგი ქუჩები, რაც ის ქვით მოფენილ იქნა 11.450 კვადრატიული მეტრი ქუჩა (წერეთლის ზდანოვიჩის, კოჯორის, ჯორჯაძის, თბილისის და სხვ.), რაზედაც დაიხარჯა 51 ათასი მანეთი.

